

# მთელი

1993  
სათხავათი  
12  
პეტიონი  
№32 (11623)  
ფასი 10 კაჟონი

საქართველოს  
პარლამენტი  
ბიბლიოთეკა

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1993 წლის 1 მარტიდან

### ვინ რას ფიქრობს...

რა უნდა ხარო შეთანხმებაზე აფხაზეთში ციხის შეწყვეტისა და მისი შესრულებისადმი კონტროლის მექანიზმის შექმნის შესახებ? — ამ შეკითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე ზუგდიდელს.

ციცო აბაკელია (მედიკოსი) — შეთანხმება ციხის შეწყვეტის შესახებ, ვერ-ჯერობით, ფორმალური ჩანს. ისევე მიმდინარეობს ბრძოლები, არ ვიცი, პოლიტიკაში ისე არაფერი ხდება და ალბათ ამ ფაქტსაც აქვს საფუძველი და მიზანი.

ლტოლვილი კაცი — აუცილებელი იყო ხელშეკრულების დადება. ბევრი სისხლი დაიღვრა. თუ დროზე არ შეწყდება ომი, უფრო მწარე შედეგებია მოსალოდნელი. ეგების გვეშველოს ამ შეთანხმებით...

ლტოლვილი ქალი (მიმართავს კაცს) — სხელი და გვარი არ უთხრა. ეს ქალი კორესპონდენტს. გვერდით, შვილი, ერთ სიტყვას ღმერთმა უწყის, რა მოჰყვება. ეგებ, აქედანაც მოგვიწიოს გაქცევა. თუ არ გვატყუებენ, ციხის შეწყვეტაზე შეთანხმებას რა სჯობის; მაგრამ ამ

იღება იმასთან, ვინც გვეომება, ე. ი. რუსეთთან და ამასთანავე, შეთანხმების საფუძველზე სიტუაციის დასარეგულირებლად შემოყავთ რუსისვე ჯარი. ყველაფ-

ენტს... ვერ გვიგე, არძინბა სოხუმში უნდა დაბრუნდეს? სამთავრობო ჯარები აფხაზეთიდან უნდა გამოიძინონ? რაღაზე შევიდნენ, შეილო, დასაგრეველ და დასახოცად ხომ ყოფილა უაზრო ომი? როგორ შეუტაცხოფილი ღარჩენ დაღუპული ბიჭები... თინა ცანავა (ფინანსისტი) — ამოდ ირჯებით, არავითარი პიში ვნელობა არა აქვს, მე ვეთანხმები თუ არა ხელშეკრულებას და მის შესახებ. ხალხი — თუნდაც ათასები არ წყვეტენ არაფერს. ყოველთვის ერთგულები ქმნიან პოლიტიკაში ამინდს, დანარჩენი მიზანსადაც და მეტი არაფერი.

კობა ბუკია (სტუდენტი) — ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტი არაა, რადგან მას ხელს აწერს უკანონო ხელისუფლების წარმომადგენელი, ხელისუფლებისა, რომელიც თვით რუსეთის იმპერიამ მოიყვანა საქართველოს სახელმწიფოს სათავეში.

## «ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტი არაა»...

ბობენ ისევე გრძელდება ბრძოლები, სანგრებს გამალებით თხრიანო. ვეჭვობ, არძინბამ რა მე დათმოს...

ლელა ხუბულავა (პოლიგრაფისტი) — არ მგონია იმედის მომცემი ეს ხელშეკრულება. ომის შეწყვეტა თუ ასე ადვილი იყო, აღრევე ვაქეთებინათ — რატომ დაღვარეს ამდენი სისხლი?

ნანა ქარდავა (ფილოლოგი) — ვერაფერს ვიტყვი, პოლიტიკოსი არ ვარ, მომავალი გვიჩვენებს.

ჭუმბერ კუკავა — არ ვეთანხმები ხელშეკრულებას, მას არა აქვს არავითარი ძალა, ხელშეკრულება

ერი წინასწარ იყო გათვლილი. «ამხანაგმა» შევარდნამ აფხაზეთში ომის დაწყებიდან მეორე თვეს თქვა: აქაც (გულსხმობა აფხაზეთს) სამაჩაბლოს ვარიანტი გამოგვადგება. სამაჩაბლოში კი რაც გამოგვადგა ყველა ტყედავთ, — ქართველები ვერ ბრუნდებიან ცხინვალში.

გურამ ჭიჭინაძე (ფიზიკოსი) — რა ომის დამთავრებაზეა საუბარი? ომი აწი იწყება, გენაცვალე...

თინა გვაზავა (ლიასახლისი) — ჩემმა შვილმა «იბერია-სექტორი» მომიტანა. გავეცანი ამ დოკუმ-

### ეს ჩვენთან...

## ვეტირანების ფვლილი

ქალაქის ომისა და შრომის ვეტერანთა ინიციატივით შეიქმნა შემოწირულობათა შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვეტერანთა საბჭოს მდივანი კ. ალამია. გადაწყდა, ჩვენს მებრძოლებს, დავხმარებოდით თანხით. შეგროვდა და საქართველოს ეროვნული გვარდიის სამმართველოს გადაუტრიალებ 20,000 კუპონი.

აფხაზეთში მებრძოლ მეომართა დასახმარებლად კუპონების შეგროვება გრძელდება.

შ. ჯიქია, ქალაქის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

### ნომრის ინფორმაცია

ქალაქის წყალმომარაგებაში არ ხედილი შეფერხებები გამოწვეულია წყალმომარაგების ძირითადი წყაროს — რეჩხოციხის სატუმბო სადგურის მწყობრიდან გამოსვლით. გასული წლის ნოემბერში გადაიწვა ერთადერთი მაღალი ძაბვის 800 კილოვატი სიმძლავრის ელექტროძრავი. ახალი ძრავების ჩამოტანა დიდ სირთულეებთან კი იყო დაკავშირებული, მაგრამ როგორც იქნა ჩამოვიტანეთ. მიუხედავად იმისა, რომ დღესათვის ორივე ტუმბო სრულ მუშაობაშია, ქალაქს წყალს მაინც ვერ ვაწვდი. მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება მკვეთრად შემცირებულია და შესაბამისად არასრული დატვირთვით მუშაობენ ენერჯის კასკადის აგრეგატები. ბოლომდე არსებული ჯვარის წყალსაცავიდან უწყვეტად არის გამოშვებული დიდი რაოდენობის წყალი, აღიღებულმა ენერჯმა ძირი გამოუთხარა და მწყობ-

რიდან გამოიყვანა რეჩხოციხის მაგისტრალური წყალსადენი ს. რიყის მიდამოებში, მდინარე ენგურის კალაპოტში, სადაც სამ-

## წყალი გვექნება გრა ფიქით...

უშაობის ჩატარება ტექნიკურად შეუძლებელია, სანამ არ დაიკლებს წყალი.

ამჟამად ქ. ზუგდიდი წყალს დეპუტატის რუხის სატუმბო სადგურიდან და ნაწილობრივ ოლორის წყალსადენიდან, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას, ამიტომ წყლის ცალკეულ უბნებზე თანაბრად განაწილების მიზნით ქალაქისათვის შემოღებულია წყლის მიწოდების შემდეგი გრაფიკი:

1. 7-დან 14 საათამდე წყალი მიეწოდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, მარქსის, ჭოჩიაშვილის, ნეკრასოვის, დადიანის, კომკავშირისა და მათი მიმდებარე ქუჩების მოსახლეობას, აგრეთვე აღმშენებლის ქუჩის

მონაკვეთს ბარათაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე.  
2. 14-დან 18 საათამდე წყალი ექნებათ რესპუბლიკური სა-

ვაღმყოფოს, ტუმბისხანის, აღმშენებლის ქუჩის გაგრძელებას, გამსახურდაის, გორის, კრილოვის, ერისთავის, ბარნოვის, მაიაკოვსკის, რუსთაველის, ლენინგრადის, დუტუ მეგრელის, ბესიკის და სხვა მიმდებარე ქუჩებს.

3. 18-დან 7 საათამდე წყალს მივაწვდით ბურკოშინაძის, ღვინის კომბინატს, წერეთლის, ცაიშვილის, დეკაბრისტების, ბუქარესტის, ოდიშის, გაგარინის ქუჩებს.

ბ. როგავა, ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველოს მთავარი მექანიკოსი.

### შემოწირველთა ლაშქარი მავალის...

ვის არ უჭირს დღეს სულიერად თუ ეკონომიკურად, ხალხს ლუკმა პური ენატრება, მაგრამ ზუგდიდის მოსახლეობა, საწარმო-ორგანიზაციები, დაწესებულებები ყველაფერს აკეთებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში მებრძოლი მეომრების სურსათით, მედიკამენტებითა და სხვა აუცილებელი რესურსებით მომარაგებისათვის.

შემოწირულობათა და შემომწირველთა ნუსხა იმდენად ვრცელია, რომ თითოეული მათგანის დასახელება შორს წავიყვანს. ერთ დროს, ალბათ, ეს სია სრულად გამოქვეყნდება; დღეს კი გავაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

სოფელ კოლხიდის მოსახლეობამ გაიღო 367 ათას 50 კუპონი, გამსახურდაის ქუჩის მოსახლეობამ — 100 ათასი, რუხის ჩაის მიკრო ფაბრიკამ — 100 ათასი, ტყაიას ჩაის ფაბრიკამ — 100 ათასი, ჩაის ექსპერიმენტულმა კომბინატმა — 200 ათასი, ჭყონდიდელის

ქუჩის მოსახლეობამ — 142500, დარჩენის მომხმარებელთა საზოგადოებამ — 100 ათასი, ამდენივე თანხა შემოწირეს ციხის, ყულიშარისა და ახალსოფლის ჩაის ფაბრიკებმა, ლუდის ქარხანამ, № 12 სამშენებლო ტრესტმა, № 2 ტრესტის ზუგდიდის საშენი მასალების საწარმომ, ვაზის ტრესტმა — ერთი მილიონი, ჩაის გადამწონმა ფაბრიკამ — 270 ათასი, ჩაის კომბინატმა „ოდიშმა“ — ერთი მილიონი, თათარიშვილის ქუჩის მოსახლეობამ 183500, ჩაის № 2 ფაბრიკამ — 250 ათასი, № 2682 ავტოკოლონამ — 307 ათასი; ასევე ათასობით მანეთის პროდუქტი გაუზავნეს მეომრებს საბინაო-კომუნალურმა მეურნეობამ, ზუგდიდის საბანკო სისტემის მუშაკებმა, საფინანსო განყოფილებამ და მრავალმა სხვა დაწესებულებამ.  
ქველმოქმედ შემომწირველთა ლაშქარი დღით-დღე მატულობს...

### გაზეთებიდან

## ზღვარდაუღები ცინიზმი

1801 წლის თებერვალში სიონისა და ვანქის ეკლესიებში ძალად შეკრებილ ხალხს „სახეიმოდ“ გააცნეს თვალთმაქცური მანიფესტი საქართველოს რუსე-

თთან შეერთებისა, რომელიც ასე იწყებოდა: „არა ძალთა შემატების, არა ანგარებით, არა საზღვრების გაფართოებისათვის, რომელიც ის

ელაძ არ აკლია მსოფლიოში უდიდეს იმპერიას, ჩვენს თავზე ვიდრე საქართველოს მმართველობის უმძიმეს ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და აღმართი მოვალეობა გვიკარნახებს ჩვენ წმინდა მოვალე-

ობას, შევიგნოთ ტანჯული დაღი და მათი მწუხარების აღმოსაფხვრელად, დავიწყოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შეძლებს განამტკიცოს პირადი ქონებრივი უშიშროება და მისცეს თითოეულს კანონი-

რი მფარველობა.“ ისტორიამ არ იცის, ალბათ, თავისუფალი სამეფოს დამონების ასეთი ცინიკური და სახეიმო ცერემონიალი.  
„პარტული მონიკა“

ფიქრი

ამბობენ, კაცობრიობის ისტორია ომების ისტორიაა არისო. ჩვენ თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ადამის მოდგმა გაჩენის დღიდან დღემდე თავის ისტორიულ გზას სისხლიანი ნაბიჯებით, ნგრევით, ცრემლით, აურაცხელი უბედურებითა და ცოდვით დამძიმებული მიუყვება. ესე იგი, ადამიანი თავისი არსით სიავთა ქმნადობისაკენ უფრო მიდრეკილი, მასში მძლავრობს ბოროტი ენერჯია... მას (ადამიანს) თუმცა არ ძალუძს უიდელოდ, უღმერთოდ ცხოვრება, მაგრამ მანაც მის კულტურულ მოღვაწეობაში დემონი დომინანტობს და არა ღვთიური მადლი.

ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა კენისა და აბელის ტრაგიკული პასაჟი ბიბლიიდან: კენი ადამისა და ევას უფროსი ვაჟი იყო, რომელიც ცოდვით დაცემის შემდეგ შეეძინა. კენმა შურიანობის ნიღაბზე თავისი ღვიძლი ძმა — აბელი მოჰკლა, რისთვისაც ღმერთმა მთელი მისი ჩამოშალა შუაგულში, ეს იყო პირველი მკვლელობა დედამიწაზე. საუბედუროდ, იმ დღიდან იწიგნება ადამიანის სისხლის ცოდვილი პლაგის ყველა კუთხეში. მკვლელობა, სხვისი სიცოცხლის ხელყოფა ცოდვითა შორის ყველაზე უშიშროების ცოდვაა. სწორედ ამიტომ არის, რომ მოსეს ათი მცნებიდან მეექვსე მცნება გვიქადაგებს: „არა კაც ჰკლა“.

მაგრამ ადამიანები ერთმანეთს ჰკლავენ. ჰკლავენ დიდი უნით, გახელებით, გაუგონარი სისასტიკით, დღისით თუ ღამით, მღვთით თუ აშკარად. ვინ, როგორი ადამიანი სჩადის ასეთ უშიშროს ბოროტებას? ისეთია ადამიანი, რომელიც წინობრივად გამოფულდურებულ უნაყოფო ხე სა ჰავს, ხოლო ხორციელად მგლური გამძლეობის მქონემ მშვენივრად უწყის, რომ ისე არ გამდიდრდება თუ ვილაცას არ მოპარა, ისე ვერ შეიქმნის კარიერას თუ ვილაცას არ უყვლა, ან სარმა არ გამოხლო, ისე ვერ მოკალათდება პოლიტიკურ სავარძელზე თუ ვილაცას ზურგზე და ან დაასო. ეტყობა, წნეობა და მორალი სიზიფეს ლოდსა ჰგავს კაცთათვის — ვიებერთელა ქვა უნდა ავაგოროთ მთაზე, მაგრამ, როგორც კი მივალწევთ მთის მწვერვალს, ქვა ხელიდან გვისხლტდება და ჩავორდება დაბლა. ისევე თავიდან ვიწყებთ, მაგრამ ამოდ...  
ადამიანი ადამიანისათვის

მგელია — ამ ფიგურალური გამოთქმის ავტორი ძველი რომელიც კომედოგრაფი პლატუს ტიტუს მაქციუსი გახლავთ, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე ორი საუკუნით ადრე მოღვაწეობდა და წერდა შესანიშნავ კომედიებს რომაელთა ყოფა-ცხოვრებაზე. ამ გამოთქმას იგი ხმარობს კომედ-

ადად, არავითარი აზრი არა აქვს — პავლიკ მორაზოვმა მშობელი მამა დემოკრატის სახელით გასწირა დასახვრეტად თუ სოციალიზმის სახელით...  
თუმცა რაღა შორს წავიდეთ. გავუსწოროთ თვალი დღევანდელს და ვთქვათ, რომ სისხლის წყურვილის მსოფლიო ვნებათა-

გაპყვ ერთადერთი მართალ, ქრისტემიერ გზას, რასაც შედეგად მოჰყვ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები: კანონიერი, კონსტიტუციური, დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების არჩევა, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება, პირველი საპრეზიდენტო არჩევნები...

თავ-თავისკენ ექარება, იმე, რომ შეიძლება ყრმა ქრისტეაქ დახანირდეს... ქრემარტი დედა წვალემა — ტკივილისათვის ვეღარ იმეტებს ბავშვს და ჭკითინით ხელს უშვებს მას, ხოლო მეორე ქალბატონი — ცრუ ჭირისუფალი თავისუფალია იმ გრძნობისაგან, რომელსაც სიყვარული ჰქვია... რაღაცით იმ ბავშვს მაკონებს დღევანდელი საქართველო!  
და მანაც, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმ უბედურებისა, რომელიც აგერ რამდენი ხანია ჩვენს თავზე ქარბორბალსავით ტრიალებს, ის არის, რომ სიყვარულის ნიჭი დაკარგეთ და ღმერთს დავშორდით. ხოლო სადაც უღმერთობაა, იქ ადგილი არ რჩება სიყვარულისთვის და ჩვენს სრწინად სხეულში ათასგვარი ბიწიერება ისადგურებს.

სიყვარული არასოდეს მოაკრძებს...

ივში „ვირები“. ნუთუ მართლა ასეა, ადამიანი ადამიანისათვის მგელია? იქნებ მხოლოდ ძველი რომის კლასიციზი საზოგადოების მგლური ეგოიზმის გამოხატვლია ეს ფრაზა და სხვა არ აფერი? როგორი გახდა, შეიცვალა თუ ასეთივე დარჩა ადამიანი, ორი ათასი წლის შემდეგ? ამ კითხვებზე „უსტი“ და ნათელი პასუხის გაცემა „შედეს“ მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმ-კომუნისმის მშენებლებმა ამ მიწიერი სამოსხის ერთ-ერთი არქიტექტორის — დამხვეული ნიკიტა ხრუშჩოვის პირით. აი, რა თქვა მან როსტოვის ოლქის ერთერთ სოფელში სტუმრობისას: „სასამოვნოა, ვცხოვრობდეთ და ვმუშაობდეთ, ამხანაგებო, ჩვენს დიდ ეპოქაში, როცა ხდება ასეთი გრანდიოზული გარდაქმნები, როცა დედამიწის ვებერთელა სივრცეზე ადამიანები გარდაქმნიან თავიანთ ცხოვრებას სოციალისტურ საწყისებზე. უკვე კაცობრიობის შესამდეზე მეთრ ცხოვრობს სამყაროში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ადამიანებმა მოსპეს პაპიტალ-იზმის მხატური კანონი „აღამიანი ადამიანისათვის მგელია“ და ცხოვრობენ პრინციპით „აღამიანი ადამიანისათვის მამო-ხარი და ძმა“ (გაზ. „კომუნისტი“, 1 სექტემბერი, 1958 წ.).

ელვაში ჩათრეულია საქართველოც, სამარცხვინო და თავისი-საცემი ის არის, რომ მტრისკენ მიმართულ მუქარასა და უსაგნო მუშტისქნევას ერთმანეთში იატაგანის ძვერებით ვაგვირგვინებთ ხოლმე. ამ საუკუნის გარირაუწე დიდ ილიას ქართველის ხელმა ტყვიით გაუგმირა სპეტაკი უბლი... მერე ოცდარეოში ისევ ქართველისავე ნებით თერთ ცხენე ამხედრებულმა ქართველმა „წაღმა-უკულმა გადახანა“, „გააწითლა“ და გასაჩუქრა მშობლიური მიწა — წალი... მერე იყო ოცდაოთხი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდარეო, ორმოცდათექვსმეტი... იყო ღრიანციელი, დროშების ფრიალი, ჩინ-მედლებს გაწაწილება, ოქრო-ვერცხლის ჩხრიალი, ვეღარ ანათებდა დიდი ღამის ცარგვალს „ჩრდილოეთიდან ამოსული მზე“... მერე იყო უკეთეს ქართველთა გაბედული შეძახილი ილიასელი ლოზუნგისა: „ენა, მამული, სარწმუნოება; თვლები მოფშენეთა და გამოღვიძების სულისაღმტაცის სხარული, თავისუფლებას დანატრებული ხალხის აქარიშხლება და აპრილის მისტერიული ღამე-განთადი...“

შემდეგ რაც მოხდა, შეიძლება ითქვას, დღეს ბავშვმაც კი იცის. მე მოკლედ ვიტყვი: ყოველივე ეროვნულის მოქულე გარევე მტრებმა განაწყენებულ თუ მოსყიდულ „შინაურებთან“ ერთად მოაწყვეს პირდაპირი სამხედრო-კრიმინალური პუტჩი საქართველოს კანონიერი ხელისუფლების, პრეზიდენტის წინააღმდეგ. იმის მცდელობა, რომ „გამსახურდას რეჟიმი“ წარმოჩინოროგორც „ანტიეროვნული და დიქტატორული“, ხოლო დეკემბერი-იანვრის „შამაშკვლილი ომი — „საყოველთაო-სახალხო აჯანყება“, — დაუჭირებელ უწინეთობაზე“ დამუხობილი ცილისწამება გახლავთ და სასაცლოა სატირალი რომ არ იყოს.

სახარებიდან ვიცით, რომ იესო ქრისტეს არ გაუყვია ერთმანეთისაგან სარწმუნოება და წნეობა. უფალი იმასაც გვასწავლის, თუ როგორ უნდა გვქაშდეს ღმერთი და იმასაც, როგორ უნდა ვიცხოვროთ სარწმუნოების თანხმად. არ შეიძლება ქრისტინად მოქონდეს თავი ადამიანს ან ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, თუნდაც ათასსა და ასი ათასს, თუკი ის ძალადობის აპოლოგეტია და არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ღმერთისა და ერის წინაშე...  
ცალკე ჩვენს გენში კოდირებულია არაერთი საძრახმა თვისებამ, ცალკე ორასწლიანმა მონობის უღელმა საქართველოში ძალუშად ახარა ღვარძლი და ღენცოფა, შური და თავკერძობა, სიცრუე თუ სიხარბე, რა, რა იხსნის დღეს მათი მწარე ნაყოფისაგან ჩვენს ცოდვილ სულებს, გარდა სიყვარულისა? სიყვარული კი ისეთი ხამს, როგორც კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის პირველ წერილშია ნათქვამი: „სიყვარული სულგარძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყრობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწყისობას, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და არ განწინახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ქრემარტიება ახარებს; ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს. სიყვარული არასოდეს მთავრდება“...  
ნურც დამთავრებულიყოს!  
ჯ. პარპანია.

აი ასე, ერთობ მჩატედ და „ჩისტუკების“ დღინით სცადა ამ მავაცხოხებულმა პრობლემური სიზიფეს ლოდის „სოციალისტური ქრემარტიების“ მწვერვალამდე ატანა. მაგრამ უფალმა უწყის, თუ რა საბედისწეროდ საშიში ძალა მოველინა გონიერ კაცობრიობას „წითელი მხეცის“ სახით. დიდი ანტიქრისტეს ღენინისა და მისი ერთგული მოწაფეების მიერ პლანეტის ოთხივე მხარისკენ გაჭრილი „სოციალისტური ქრემარტიების გზა“ მოკირწყლულია ასეულობით მილიონი ადამიანის ძვლებით, ჩემთვის, პირ-

1989 წლის 9 აპრილი გახდა მსობრივი ეროვნული მოძრაობის ათვის წერტილი. მაგრამ სულ მალე იმპერიულმა, ანტიეროვნულმა ძალებმა მოახერხეს ამ მოძრაობის ხელოვნური დაქაქვა და ნაწევრება. კომუნისტებმა ქმელეონის ტყავი მოირგეს, ტაქტიკური უკანდახევა ამჟამინეს და შესაბამისად „გაღმეოკრატდენე“, მოსკოვში მოკალათებულმა გამანქურთებულმა ქართველებმა იმთავითვე „კბილთა ღრქენა“ შეაგებეს „მცირე სამშობლოს“ თავგანწირულ გამანთავისუფლებელ ბრძოლას, რომელსაც სათავეში ედგნენ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. თითქოს გამოიკვეთა ქრემარტიებისკენ მიმავალი ორი გზა, თითქოს გარდუვალი იყო ქართველი ერის დაბნევა, მაგრამ არა — საბედნიეროდ ერთი არ დაიბნა და

კებისათვის. პირველ ფაბრიკაშიც იგრძნობა ნელლელის სიმცირე. ნელლელს რეგულარულად აბარებს ოდიშის საზოგადოებრივი მეურნეობა. მათ დღემდე მრეწველობას მიყიდეს 206 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, კორცხელეებმა 100 ტონა, მაგრამ ზოგიერთები კმაყოფილებიან მცირედით: პით აწყარელებს ჩაბარებული აქეთ 9 ტონა, ზედაწერელებს 1,3; ხეცერელებს 2, 3, ნაცატულებს 5,5 ტონა, რუხელებს კი 5 ტონა.

საჭიროა მდგომარეობის რადიკალური შეცვლა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების მოხსნა. თუ ასე არ მოხდა გამოირცხულია პროგნოზის რეალობად ქცევა.

ჩაის კულტურა გარკვეულ ამინდს ქმნის რაიონის ეკონომიკაში. ცნობილი ფაქტია, რომ ჩაის დარგისადმი უყურადღებობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა ბევრგან საწვავის უქონლობის

ქონდა 1365 ტონა ჩაის ნელლელული, ანუ 900 ტონით მეტი. მათ ადგილზე გამოძებნეს რესურსები და შეუქმნეს პირობები იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებიც გრაფიკის მიხედ-

ვით მდგომარეობა უცვლელი რჩება. კერძო პირები, რომელსაც შინ გააჩნიათ ჩაის „გადამამუშავებელი“ მიკრო-აგრეგატები, იძენენ ნელლელს, ეს კი იწვევს ნელლელის მიუწოდებლობას ფაბრი-

თუ მდგომარეობა არ შეიცვალა

გამო უმოქმედოდაა მექანიზაცია, სკირს დამზადებული ნელლელის ტრანსპორტირება ფაბრიკებამდე.  
ჩაის ფაბრიკების ფლაგმან №1 ფაბრიკაში სეზონის დაწყებიდან მიღებული და გადამამუშავებულია 471 ტონა ნელლელული, მაშინ როდესაც გასულ წელს ამავე პერიოდისათვის ფაბრიკას მიღებული

მდგომარეობა უცვლელი რჩება. კერძო პირები, რომელსაც შინ გააჩნიათ ჩაის „გადამამუშავებელი“ მიკრო-აგრეგატები, იძენენ ნელლელს, ეს კი იწვევს ნელლელის მიუწოდებლობას ფაბრი-

კებისათვის. პირველ ფაბრიკაშიც იგრძნობა ნელლელის სიმცირე. ნელლელს რეგულარულად აბარებს ოდიშის საზოგადოებრივი მეურნეობა. მათ დღემდე მრეწველობას მიყიდეს 206 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, კორცხელეებმა 100 ტონა, მაგრამ ზოგიერთები კმაყოფილებიან მცირედით: პით აწყარელებს ჩაბარებული აქეთ 9 ტონა, ზედაწერელებს 1,3; ხეცერელებს 2, 3, ნაცატულებს 5,5 ტონა, რუხელებს კი 5 ტონა.

გაზეთებიდან პარლამენტის შემაღლებლობა მხირდება

29 იელისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მორიგ სხდომაზე პარლამენტის წევრმა მალხაზ დვლიშვილმა („ქართა 91“) განაცხადა, რომ იგი არ ეთუწხება ხელისუფლებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ კურსს, რომ ხელისუფლებას თავის მოქმედებით ქვეყანა მიჰყავს სამოქალაქო ომისაკენ და ამიტომ გადის პარლამენტის შემაღლებლობიდან. როგორც „ქართა-91“ ის თავმჯდომარემ თელო პატაშვილმა განაცხადა, იმავე დღეს პარლამენტი დატოვა ამ ორგანიზაციის მეორე წევრმა მალხაზ კვანჭლაშვილმა — ამის შესახებ

მან პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა ოფიციალური წერილობითი განცხადებით.  
ამგვარად, უკანასკნელ ხანს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შემაღლებლობიდან პარლამენტისა და სახელმწიფო მეთაურის კურსის მიუღებლობის გამო გავიდა 4 წევრი — თორნიკე ფიფია, თემურ მდინარაძე, მალხაზ დვლიშვილი, მალხაზ კვანჭლაშვილი.  
აქვე აღვნიშნავთ, რომ პარლამენტს თავისი გადაწყვეტილებამ პირთა გამოსვლის გამო ჰმარჯობით არ მიუქცია.  
„იზარია-სამაქარი“.

### 1. დიდება პატიოსნისა სამოსლისა უძველესი წინადაცხადებისა ჩვენისა ღვთისმშობლისა ვლასპარანსა მე-5-ს.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სუფევს ომი, შიმშილობა და სიბნელე, კეთილმორწმუნე ჩვენი ერი ღმობიერად უნდა ევედროს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომ გვაპატიოს ჩვენ, ცოდვილებს და გლახაკებს და მკობნი გვყოს წინაშე ძისა თვისისა.

ჩვენი დიდ სიწმინდეს წარმოადგენს ღვთისმშობლის ხატი, მისი სამოსელი და სარტყელი. ბიზანტიის იმპერატორის ლევ დიდის მაკედონელის (457-474) ზეობისას მეფესთან დაახლოებული ძმები პალიმიუსი და კანდიდი კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში წმინდა ადგილების მოსალოცავად გაემგზავრნენ. ერთ დღეს ნაზარეთის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში, ერთი მოხუცი ებრაელის სახლში გაათიეს ღამე. მომლოცველთა ყურადღება მიიპყრო სახლში მუდმივად დანთებულმა სანთლებმა და გუნდრუკის კმევამ. კითხვაზე, თუ რა სიწმინდე ინახებოდა ამ სახლში, ღვთისმოსავემა ქალმა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა პასუხისათვის თავის არიდებას, ბოლოს მაინც მიუტოვა, რომ იგი დიდ სიწმინდეს, ღვთისმშობლის სამოსელს ინახავდა ღვთისმშობელმა თავისი სამოსელი უახლოეს ქალწულს დაუტოვა იმ პირობით, რომ იგი მას ქალწულსავე გადასცემდა. ის ქალწული ჩემი ნათესავი იყო და ასე თაობიდან თაობას გადასცემდნენ ჩვენი ოჯახის ქალწულები სამოსელს. ვიდრე იგი მე არ შემხვდა, მოუთხრო მოხუცმა.

ქვირფასი კილობანი, რომელშიც წმინდა სამოსელი იდო, კონსტანტინეპოლში გადასვენეს. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გენადიმ და იმპერატორმა ლევმა ეს ამბავი შეიტყვეს და დარწმუნდნენ ღვთისმშობლის სამოსლის უბრუნადობაში, მოწიწებით ჩაეკრნენ და თაყვანი სცეს მას. ლაქერში, ზღვის ნაპირზე აიგო ღვთისმშობლის ახალი ტაძარი. 458 წლის ივლისის მღვდელმთავარმა გენადიმ ზემოთ გადაიტანა სამოსელი ვლასპარანის მონასტერში და იგი ახალ კილობანში ჩაასვენა.

მოგვიანებით ამ კილობანში დასვენებულ იქნა ღვთისმშობლის

წმინდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი. ეს მოვლენა უცვლად შეტანა, რომელზეც სამოსლისა და სარტყლის დასვენება ერთ დროს არის წარმოდგენილი.

წმინდა ღვთისმშობელმა არაერთხელ გადაარჩინა ქალაქი, რომელსაც მან თავისი სამოსელი უბოძა. იქნებოდა კონსტანტინეპოლის ავარების (626), სპარსელების (677) თუ არაბების (717) ალყა. ღვთისმშობელი მუდამ მფარველობდა თავის რჩეულ ქალაქს.

მონასტერთა წესდებებში იქნა შეტანილი. ხოლო შემდეგ სამარხეო ტრიოდში და საერთო მართლმადიდებლურ დღესასწაულად იქცა.

1453 წელს კონსტანტინეპოლის დაკეცვის შემდეგ ხატი ათონის მთაზე გადაასვენეს, ხოლო 1654 წელს ათონელმა ბერებმა იგი მოსკოვის მთავარ ალექსი მიხეილის ძეს გადასცეს საჩუქრად.

ვლასპარანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია 2 ივლისს და

იცი მაშინვე განიკურნა. ჩატარდა სადღესასწაულო ღონისძიება, მიძღვნილი ღვთისმშობლისადმი, ხოლო პატიოსანი სარტყელი კილობანში ჩადეს და დაბეჭდეს.

ამ სასწაულის მოსახსენებლად ყოველწმინდა ღვთისმშობლის სარტყლის ორჯერადი დადების აღსანიშნავად დღესასწაული დადგინდა. ღვთისმშობლის წმინდა სარტყლის ნაწილები დასვენებულია ათონის ვატოპედის მონასტერში, ტრიობის მონასტერში

გრელო“ 1930 წ. გვ. 50). ცნობილი რუსი არქეოლოგის ანდრია მურავიოვის გადმოცემით ღვთისმშობლის სარტყელი ჩამოტანილია იერუსალიმიდან თეოდოს უმცროსის მედობის დროს მე-5 საუკუნეში, რომლის შემდეგ აშოტ კურაპალატის მეშვეობით მოხდა ბელაში და აქედან მარტივლში, მერე პეტერბურგსა და ბოლოს ხატთან ერთად კვლავ სამეგრელოში. (იხ. მისი „გრუზია ი არმენია“, ტომი 3).

ყოველ მუროეს ცნობით ღვთისმშობლის ხატი ბაგრატ მეოთხის სცოლეს, ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილს ელენეს ჩამოუტანია საქართველოში.

ვლასპარანის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი 1805 წელს სამეგრელოს დედოფალ ნინოს სურვილით სპეციალური დეპუტაციით პეტერბურგში ხელმოწევი იმპერატორს ალექსანდრე 1-ს მიართვეს. ალექსანდრემ ეს ხატი ძვირფასად შეამკო და ისევ სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნა და მის სახელზე აწმინდა ეკლესია. ამჟამად იგი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ღვეწანდელი ცხოვრება ჩვენი ერისა ჯოჯოხეთს მიეახლა. რამეთუ სდევნა მტერმა სული ჩვენი, დაამდაბლა ქვეყნად ცხოვრება ჩვენი, უფალს სძაგს კაცი მოსასლელ და მზაკვარი, რომელიც ამბობს მოყვასზე ძვირს, თვალთ ამპარტანსია და გულით უძღვები ასეთ ხალხს არ წარმართება უფლის თვალთა წინაშე. ჩვენ, მართლმადიდებელი ეკლესიის შვილებო, შევიდეთ ღვთის სახლში, შიგაითა მოწყალებით, თაყვანი ვცეთ უფლის ჯარში ყოველ სიწმინდეს შიგითა ღვთისათა და სარწმუნოებრთ. უფალიც გვაუწყებს გზას, რომელზეც ჩვენ უნდა ვაღოდეთ, დავიხსნის მტერთაგან, რათა ვყოთ ნება მისი.

ყოველწმინდა ვლასპარანის ღვთისმშობელი, გამოყვანე კიონისაგან სული ჩვენი ერისა, წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩვენი და წარწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელი სულისა ჩვენისანი. მშვიდობა მომადლე ეკლესიათა და ერსა და სოფელსა და ქალაქსა შენსა, მეოხებითა ღვთისმშობლისათა და დაამხვენ მტერნი ჩვენი მრავალთ მოწყალეო, ამენ!

ღვეწანოში ამირან ჟანაშვილი, ციხის ტაძრის წინამძღვარი.



### 2. ვლასპარანის ღვთისმშობლის ხატი

იერუსალიმში მოიპოვა დედოფალმა ევდოკიამ იერუსალიმის პატრიარქ იუვენალისა და ღირსი მამა ეფრემ დიდის დროს. წმინდა ხატი კონსტანტინეპოლში გაიგზავნა, სადაც დედოფალმა პულხერია იგი ვლასპარანის მონასტერში დაასვენა, აქვე ინახებოდა ღვთისმშობლის შვიდი ძაძები.

ამ წმინდა ხატს ოდიგრიტიას, ანუ გზათამკვლევს უწოდებენ. სწორედ ამ ხატით უწვიდა 626 წელს ავარების მიერ ალყა შემორტყმულ კონსტანტინეპოლის კედლებს პატრიარქი სერგი (610-631). ამ და სხვა გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომელიც წმინდა ღვთისმშობლის წყალობით მოიპოვეს ბერძენებმა, დიდ მარხვის მეხუთე შვიდეულის შაბათს ღვთისმშობლის დღესასწაული და დგინდა „აკაფისტოს შაბათი“. თავდაპირველად იგი მხოლოდ კონსტანტინეპოლის ვლასპარანის ტაძარში იმართებოდა. მე-9 საუკუნიდან ეს დღესასწაული საბა განწმენდილისა და სტუდიის

აკაფისტოს შაბათს — დიდი მარხვის მეხუთე შვიდეულში.

### 3. უძველესი წინადაცხადებისა ჩვენისა ღვთისმშობლისა ვლასპარანისა კონსტანტინეპოლისა

ვლასპარანის ტაძარში მოხდა იმპერატორ არკადის დროს (395-408) ღვთისმშობლის სარტყლის დადება. მანამდე წმინდა სარტყელი, რომელიც მოციქულ თომას ჩააბარა ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმა, მისი მიძინების შემდეგ მართლმორწმუნე ქრისტიანებთან ინახებოდა იერუსალიმში. იმპერატორ ლევ ბრძენის (886-811) დროს სარტყელმა განკურნა მისი მეუღლე ზოია, რომელიც უწმინდურ სულს დაეკვებინა.

დედოფალს გამოეცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში განიკურნებოდა თუკი მას ღვთისმშობლის სარტყელს დაადებდნენ. იმპერატორმა თხოვნით პატრიარქს მიმართა. პატრიარქმა გახსნა კილობანი, რომელშიც წმინდა სარტყელი ინახებოდა, ამოიღო იგი სრულიად უბრუნელი დროის მიერ და დედოფალს დაადო, რომელ-

### 4. უძველესი წინადაცხადებისა ჩვენისა ღვთისმშობლისა სიწმინდისა ზუგდიდში

ხატებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ვლასპარანის ხატი, რომლის შესახებ ვრცელი ცნობები მოგვცოვება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მე-2 ტომში. ვლასპარანი ეწოდება კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი განაპირა კუთხეს და აქ ეკლესიაში ესვენა ძვირფასი ხატი მარია ღვთისმშობლისა, რომელშიც შემდგომ დადიანებთან ღადო ბინა.

ვლასპარანის ხატის სახელზე ზუგდიდში 1830 წელს აგებულ იქნა დადიანთა კარის ეკლესია. დავით დადიანის ჯარდაცვალების შემდეგ დედოფალმა ეკატერინემ ხელახლა შეამკო და გაუკეთა სათანადო წარწერა. ღვთისმშობლის ყოვლად წმინდა ხატს მისივე წმინდა სარტყელითურთ. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის გადმოცემით: „ეს ხატი მისცა საქართველოს ერს პერაკემ მეშვიდე საუკუნეში“. (ი. მეუნარგია „სამე-

## თვალსაზრისი რატომ დუმხართ, გატონებო!

საქართველოს წინაშე უამრავი კარდინალური ამოცანა დგას. არ არსებობს დარგი, რომელიც გადაუწყვეტელი პრობლემების „ზღვარი“ არ იყოს ჩაფლული. ამიტომაც, ნებისმიერი პატრიოტისა და მამულიშვილის ვალია ძალღონის დაუზოგავად იღვაწოს მისი ამ მორევადან ამოსაყვანად. უპირველეს პრობლემათაგან ჩვენი აზრით პრიორიტეტი მაინც სოფლის მეურნეობას უნდა მიენიჭოს. ამ სფეროში დღეს იმდენი გაურკვეველი, ბურუსით მოცული მომენტები იყრის თავს, რომ გლუხაკობა დაბ-

ნუღლია. არ იცის რა გზას დაადგეს, ვის მიენდოს. აი, უკვე მესამე წელია მას ესმის მიწის პრივატიზაციის თაობაზე. რამდენჯერ იქნა გამოკვეთებული საკანონმდებლო აქტები ამის თაობაზე, მაგრამ ყოველივე ეს მაინც პრივილეტიების დონეზე დარჩა. დრო კი მიდის. ისარგებლა რა ამ „გვაკუთხით“, ბევრმა საკუთარი ნებასურვილით იწყო მიწის ნაკვეთების მითვისება-შემომტყიცება. აღარ ჩანს სავანებო უფლებამოსილებით აღჭურვილი კომპეტენტური ორგანო, რომელიც ადგილზე გეგმავს მიწის წარმართვას ამ

პროცესს. სოფლის გამგებლები ჭრჭერობით ვერ ახერხებენ საკუთარი სოფლების აგრომოწყობის სპეციფიკური სკემების შედგენას. ნუ ვიქნებით რაღაც ერთიანი, უნიფიცირებული ნორმატივების მოლოდინში. ერთია მიწის რეფორმის შესახებ საერთო რესპუბლიკური კანონის უზენაესობა, მაგრამ ყველა რეგიონს რჩება უფლება სასოფლო-წარმოების მართვის საკუთარი მოდელი შექმნას. ჩვენს გაკვირვებას იწვევს სპეციალისტების, აგრონომების, ეკონომისტების, ზოოტექნიკოსების და სხვათა გულგრილი დამოკიდებულება აგრარული პრობ-

ლემებისადმი. არის ამ მხრივ საინტერესო ძვრები ნარაზენში, ხალაბასთუმანში, ინგირში, აქალსოფელში და ზოგიერთ სხვა სოფელში. იქნებ მათი გამოცდილება განვევსოვადებინა. საკითხავია, რატომ არ გვიგზავნიან წერილებს რედაქციაში ამათუიმ საქირობოროტო პრობლემაზე. შევევსათ დუმილს, გეგობრებო. გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, წამოვკრაო აქტუალური საკითხი, დავაყენოთ წინადადება. დრო არ ითმენს. ერთიანი ძალისხმევით უნდა ავაღორძინოთ რეგიონის სოფლის მეურნეობა.

დაიჯარებო? დღემდე ითვლებოდა, რომ კაცობრიობის განვითარების გარეუარულე პირველად მამაკაცებმა დაიწყეს ლაპარაკი. ლონდონელი პროფესორი რ. დუხბარი სათანადო გამოკვლევის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლაპარაკი ქალებმა „გამოიკონეს“ 250 ათასი წლის წინ, როდესაც მამაკაცები ტყე-ღრეში დაეხეტებოდნენ სარჩოს საშოვნელად. ქალები ცეცხლის პირას იხსდნენ და არ შეიძლება ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებად არ მოეძებნათ. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ დღეს გოგონები უფრო ადვილად სწავლობენ ენებს. ქალებს კი მრავალსიტყვოვან მამაკაცებზე მეტად ახსიათებო.

ა. ალანი.

გავუფრთხილეთ პრეტენზიას

ბოლო დროს საზოგადოებაში ბის გამო ჯერჯერობით... დაშვილებულმა ქაოსმა და განუთხოვლობამ ბევრი პრობლემა შეუქმნა ჩვენი ქალაქისა და რაიონის მცხოვრებლებს.

რეკლიმა

წამლები - არასაკმალო ხალხი

დღეს, მზა - წამალი ყველგან იყიდება უხვად - ქუჩაში, სამრეწველო საქონლის ჯიხუბებში, ბაზარში პროდუქტების გვერდით, უწყვიტად დასვებზე, სკამებზე, კალათებში...

მამა არველოდი, დედა ქვათა, ძმები დახმერი, ოთარი, დები მედიკო, თამლა, მძისველები: სოფიკო, ომეხი, რომანი, ხატია, დისწვილები: მარიკა, თეა, ლევანი, თოლორაიები, მიძები: პალიკო და გურამი მიქაბები, დეიდაშვილები: თენგიზი, ზოიკა, ვია გაბეჩაიები, კახა, ხათუნა ნარმანიები, ედიშერი, ზური ეხვაიები, გელა, ბეჟანა, ლლო, ფაჩა უბირიები, ბიძაშვილები: ბადრი, ეპა, ნინო, ნანი, მანუჩარი, დათო, დეიდე: რაისა, იამზე, ეთერი, მზია, ბებია ფუფა მიქაბები, მამიდაშვილები იუწყებიან თემური (იურა) არველოდის ძე კუყავას

გარდაცვლულს: პანაშვიდი 12, 13, 14 აგვისტოს. დაკრძალვა 15 აგვისტოს ს. განმუხურში. მეუღლე ნუნუ, შვილები როზეტა და ჯონი, და ქუქუნა, ძმები ბონდო და დუგლი. სიძე ზური კემულარია, ფახტი საქები, იანური მესხია, შვილიშვილი მკარამი კემულარია, დისწვილები: მანანა და რომბურტი ნაჭყები, მძისველები: ნანა, ზაზა, თუთანა, ბიცილია ვარდო, ბიძაშვილები: ლია და რეზო ჯიქიები. მამიდაშვილები მარუსია და ვაჟა შენგელიები, სიდღერი თინიკო შენგელია, ცოლისდა ლუარა ტიბუა, მზახლები: მერი და ვაჟა კემულარიები, ცოლისდა ზური შენგელია, რძლები მილადა, ლულუ, ხარგიზა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესაები იუწყებიან ჯამბულ სერაპიონის (გუშას) ძე ჯიქიას გარდაცვლულს. პანაშვიდი 12, 13 აგვისტოს. დაკრძალვა 14 აგვისტოს, დღით შაბათს 4 საათზე ს. ქაქვიძეში.

მეუღლე ზედალი, დედა ჯული, მამა გოგი, დედამთილი ზინა, მამამთილი სანდრო ბებები, თამარი, ივდენი, ივლია, მზა გოგოტა, და ნანა, მული ირინე, მანოლი ბადრი, ბიძები: ჯუმბერი, ვახიკა, კარლო. იგორ კოდუები. სამსონ კარაბეგია, სერგო ურრამელი, კემალ ქირია, დურრაფა, მამიდა იმელო, დეიდე: ლამარა. შურა. ფანდიკო, ბიცილები ცუცა, ქუჩუჩა, ცილა, კლარა, დარეჯანი, სირმა. მაგული, ეთერი, ნათელა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესაები იუწყებიან, რომ გარდაცვალა ელისო გოგის ასული კოდუა-კობალაძის პანაშვიდი 12, 13 აგვისტოს, დაკრძალვა 14 აგვისტოს, 17 საათზე სოფ. დარჩელში.

იცით, როგორი მწარე ღრეები წარიიარა ზუგდიდში... ბავშვთა ს. ესტრადო ანსამბლ „ოდიში“ კი რომელიც 1983 წლიდან არსებობს და საკმაოდ მდიდარი ტრადიციები აქვს, რეპერტიციები ერთხელაც არ ჩაუშლია. მზა? ქარი? წვიმა? თოვლი თუ... ტყვიების ზუზუნა მიერ იკრებიან... ოდითგანვე ასეა, სიმღერაში ანივთებენ ადამიანები ცხოვრებისეულ ტრავილს.

განწყობით მოვიდნენ თეატრში. ბიჭები თაიგულებით გვეხსენენ. ფეხის დასადგმელი ადგილი არ იყო დარბაზში. შემოსავალიც მივიღეთ სოლიდური, რომელიც გადავანაწილეთ სხვადასხვა ფონდში. —თითქოს უხერხულია, გარეთ ტყვიებო ზუზუნებენ, თქვენ კი... თავდავიწყებით მღერისხართ, უკრავთ... —პოლიტიკურმა ქაოსმა მოზარდში არ უნდა ჩაქლას სიმღერისა და მშენიერების სწრა...

—ღარწმუნებელი ვარ, ამ ბავშვიებიდან 14-15-ს უკვე მუსიკის გარეშე თავი ვერ წარმოუდგინათ და ამ გზასაც გაპყვიბიან ალბათ. დიდებული მუსიკოსები და ვოკალისტები დადგებიან. —თქვენ მართო ხართ? ვინ ვეხმარებათ ბავშვებთან ურთიერთობაში? —ნინო მამფორია. იცნობთ ალბათ. ერთად ვხვდებოდნენ ომობა ანსამბლს. ტექსტებს ხშირად ქალბატონი ლამირა ფირცხელია გვთავაზობს.

ასაკ ქართული საქმეა

მოსწავლუ-ახალგაზრდობის სახელი სწორედ აქ შედგა ჩვენი ნაცნობობა ანსამბლ „ოდიში“ ხელმძღვანელთან ზურაბ ბანანიანსთან. ვფიქრობ, გულახდილი იყო ჩვენი საუბარი. —ამ ნაწარგებში როგორ მეცადინებთ? —ეს გარედან გამოიყურება შენობა ასე. დარბაზი შესანიშნავი გვაქვს. ხელს არაფერი გვიშლის. ასეთი პირობები დიდი ქალაქების მოსწავლეთა სახლებს შეუძრდებათ. ახლა, უბრალოდ იმიტომ ვერ გვატყვიებით, რომ გასაღები მეგობარს აქვს. რატომღაც იგვიანებს... —ვინ არიან თქვენი ანსამბლის წევრები? —სამი თაობა გაერთიანებული. საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფიდან მეთერთმეტე კლასელების ჩათვლით... სულ ოცდაცხრამეტი წევრია. —ყოველდღე მეცადინებთ? —კვირაში ორჯერ —ბავშვებს განსაკუთრებულ ენთუზიაზმს აქვთ კონცერტები, საღამოები, რაც იშვიათობა ვასდა ზუგდიდში. —ერთი თვის უკან მოვახერხებთ საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას. გენახათ ერთი, როგორი ამოღებულთ

ფვის სურვილი. უფროსები ვალდებული ვართ დაეცვათ ისინი ამ უხერხულობებისგან. —თქვენ თვითონ პოლიტიკაში რა დოზით მონაწილეობთ? —არაფერი შეხების წერტილი არა მაქვს... —კი მაგრამ, გარემო მიხედვით ვითრებით? —არა, მე ჩემი საქმით ვარ დაკავებული და სერთოდ ვფიქრობ, ყველამ თავისი საქმე და ადგილი უნდა იცოდეს. —მუსიკა, მგონი, თქვენ ძირითადი პროფესია არაა... —ინჟინერი ვარ... მაგრამ მუსიკა უკვე გაქდა ჩემი ძირითადი პროფესია. სხვადასხვა დროს ვმღეროდი და ვუკრავდი სხვადასხვა ანსამბლში. მუსიკის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ყველაფერში მელოდიურობას ვგრძნობ, ყველაფერში ნოტებს ვხედავ... —თქვენვე წერთ მუსიკას? —ხშირად... ყოველდღიურად ვმუშაობ საკუთარ თავზე, ვცდილობ, სიყალბე არ გამეოიოს. —ანსამბლს როგორი რეპერტუარი აქვს? —სხვათაშორის, საკმაოდ მდიდარი. თანაც ისეთი, დღევანდელი საქართველოს სუნთქვას იგრძნობთ. —როგორი გოგო-ბიჭები გყავთ, გვიმელებათ სამომავლოდ?

—სამომავლოდ როგორი გეგმები გაქვთ? —ამ თვის ბოლოს თურქეთში მივემგზავრებით. ქალაქ არხეში ტარდება „ზუგდიდური დღეები“ და ფეხბურთელთა გუნდ „ოდიშთან“, ხალხური ცეკვის ანსამბლ „კოლხასთან“ ერთად, ჩვენი ანსამბლიც წარმოადგენს ზუგდიდს... დაბრუნებულშეს კი კვლავ სერიოზული სამუშაო გველოდება: როგორც ვცდამთ. ცოტა უტყუარი სახელწოდება ექნება „ცისვერქულა და მისი მეგობრები“. დანარჩენი საიდუმლო პრესისთვის, ვნახოთ... —როგორ ფიქრობთ, პოლიტიკისგან ჩამოცილებული, დღიდან საღამომდე მოფუსფუსე, ხართ ეროვნული კაცი? —ერთი წუთით არ ვფიქრობ სხვაგვარად. ის კი არა, მეც ვომობ, ვამენებ... ქართულ საქმეს ვაყვებ. ანსამბლის ოცდაცხრამეტე წევრი ერთნაირად მიყვარს. ამ ქაოსში თუ შევძელი მათთვის ცხოვრების მიზნის გამოცვეთა და სიხარულის მინიჭება, მგონი, არ იქნება ურიკო. —წარმატებებს გისურვებთ... —სევე მობრძანდით. ანსამბლი წევრებს შეგახვედრებთ, ნახეთ, როგორი გოგო-ბიჭები არიან...

წერილი რედაქციას

დავზოგოთ ხეები

გასულ წამთარში დიდი ზარალი მიადგა ტყეს, ქარსაფარ ზოლებს. ფართობები თითქმის განახევრდა. უკეთესობას არც მიმდინარე წელს ველოდებით. ამაზე ღირს დაფიქრება. მართო დაფიქრება კი არა გადაპყრელი ზომების მიღება. სოფლად ვაზის შესვლამ აქამდე შემოგვიანა ხატე, მაგრამ დღეს კი... იგი ნადგურდება, ყველას თვალიწინ... პირველი, რაც გადაარჩენს

ნარგობებს ეს ვაზის შემოტანა, არადა სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში ჩვენ აღმოვჩნდებით ღია ციხეში, უჩრდილოდ და უფანგბადოდ. აღრიან პერიოდში ტუბერკულოზით დაავადებულებს სუფთა პაერზე ტუეში ყოფნითაც მკურნალობდნენ, დღეს კი ამ საქმეს გულგრილობა დაუფლებია. ვიფიქროთ მომავალზე, ვიფიქროთ იმაზე, რომ მწვანე

ნარგობათა გარეშე სამუარო უდაბნოს დამსგავსება. დავით აღმაშენებლის ქუჩაზე წილობით ნაზარდი ქაღრები ნაცრად იქცა. „სამაგიერო“ კაკლის ხეები საბრალოდ გამოიყურებიან. არც შემოხარული, არც სარბზე აკრულნი, „იზრდებიან“ ვადახრილ-ვადმობრილები. ღმერთმა ქნას, რომ ამ ქუჩაზე ჩასვლისას დავინახოთ კაკლის ხეების ძირთა დამუშავება, მისი მოვლა-გახარებისათვის ზრუნვის თუნდაც ერთი მაგალითი. ნუ ავჩვენებთ ხეებს, დავზოგოთ ისინი, ამით ხომ ჩვენს ჯანმრთელობას, მომავალს ვინარჩუნებთ.

მ. ზუგდიდის ექსპერიმენტულ-პროფილირებაული სკოლა (მ. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის საბაზო სკოლა) | აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პუმანიტარულ (მე-9, მე-10, მე-11 კლასებში) ფიზიკა-მათემატიკის (მე-9, მე-10, მე-11 კლასებში) ეკონომიკურ (მე-10, მე-11 კლასებში) და საბუნებისმეტყველო (მე-9, მე-10, მე-11 კლასებში) პროფილებზე. მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრების შედეგების მიხედვით. განცხადებების მიღება წარმოებს 10 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: დავით აღმაშენებლის ქ. 185. ექსპერიმენტულ-პროფილირებაული სკოლა.

ნ. ძირუა. შვილი როზეტა ჯიქია, სიძე ზურაბი, შვილიშვილი მარიამი, მზახლები მერი, ვაჟა კემულარიები ოჯახით იუწყებიან ჯამბულ სერაპიონის ძე ჯიქიას გარდაცვლულს და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.